

სამართლებრივი დაცვის საშუალებები წამების თავიდან ასაცილებლად

ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება თავისუფლებაალკვეთილი პირებისათვის

2010 წლის მარტი

შესავალი

ადამიანის წამება და მის მიმართ სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა თუ დასჯა („ცუდად მოპყრობა“) თითქმის ყოველთვის შეფარულად ხდება. ადვოკატებთან, ასევე ექიმებთან შეხვედრის და მეგობრებთან თუ ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობა ქმნის დაკავების უფრო ღია გარემოს, რომელიც ხელს უწყობს წამებისა და სხვა სახის ცუდად მოპყრობის თავიდან აცილებას, განმარტოებული პატიმრობა და საიდუმლო დაკავება კი ქმნის დაუსჯელობის ატმოსფეროს ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის და, შესაძლოა, თავად წარმოადგენდეს წამებას ან ცუდად მოპყრობას. ადამიანის უფლება, დაცული იყოს წამებისა და სხვა სახის ცუდად მოპყრობისაგან, ფუნდამენტური უფლებაა, რომლიდან გადახვევა დაუშვებელია.¹

ეს სახელმძღვანელო დოკუმენტი მიზნად ისახავს, ჩამოაყალიბოს კანონმდებლობაში ამჟამად არსებული მდგომარეობა თავისუფლების ალკვეთის შემდეგ ადვოკატის სწრაფ ხელმისაწვდომობასთან² დაკავშირებით, რაც წარმოადგენს წამებისა და სხვა სახის ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის საშუალებას.

დაკავებულ პირთათვის³ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების ფუნქცია არა მარტო სისხლის სამართლის საქმეებში დაცვის მოძადებაა, არამედ დაკავებისა და დაკითხვის განმავლობაში დამოუკიდებელი პირის დასწრების უზრუნველყოფაც (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა დაკავება და დაკითხვა სისხლისსამართლებრივ დევნასთან). ადვოკატის დასწრებამ შეიძლება ხელი შეუწყოს იმის უზრუნველყოფას, რომ დაცული იქნეს დაკავებული პირის უფლებები უსაფრთხოებასა და ღირსებაზე და რომ ხელისუფლებამ არ გადააჭარბოს თავის სამართლებრივ უფლებამოსილებას. თუ წამოწყებულია სისხლის სამართალწარმოება, ადვოკატს ასევე შეუძლია შეაფასოს საპოლიციო პროცედურა საქმის სამართლიანად განხილვის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად (და საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს).

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის (UNCAT) მე-2 და მე-16 მუხლები მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, განახორციელონ ქმედითი ზომები, რათა თავიდან აიცილონ წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობა თუ დასჯა.

წამების პრევენციის მიზნით შექმნილი მონიტორინგის მწარმოებელი ორგანიზაციების – როგორც არის წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (შემდგომში „წამების საწინააღმდეგო კომიტეტი“ (CPT)) – გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გზა იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულება – განახორციელონ ზემოაღნიშნული ქმედითი ზომები – არის ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაცვის საშუალებები, მაგალითად, ადვოკატის სწრაფი

¹ იხ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მე-4 და მე-7 მუხლები, ასევე გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ, მე-2 და მე-16 მუხლები.

² ამ დოკუმენტის მიზნებისათვის არ ვანსხვავებთ ადვოკატს, იურისტს და იურიდიულ წარმომადგენელს.

³ ამ დოკუმენტის მიზნებისათვის ტერმინი „დაკავებული პირი“ მოიცავს ყველა პირს, რომელსაც ალკვეთა პირადი თავისუფლება, გარდა დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების შედეგად თავისუფლებაალკვეთილი პირებისა.

ხელმისაწვდომობა. გაერო-ს შეთანხმებათა მაკონტროლებელმა უწყებებმა – ადამიანის უფლებათა კომიტეტმა (HRC) და წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა (CAT) – ასევე საგანგებოდ აღიარეს დაცვის ეს საშუალება, როგორც არსებითი მნიშვნელობის მქონე წამებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების სხვა დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ სახელმწიფომ დააკმაყოფილოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის მე-2 და მე-16 მუხლების მოთხოვნები, მას აკისრია ვალდებულება, დააწესოს დაცვის საშუალებები თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის – როგორც არის, მაგალითად, ამ დოკუმენტში აღწერილი ადვოკატის ხელმისაწვდომობა.

წინამდებარე დოკუმენტი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, რომლებშიც განხილულია ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების სხვადასხვა ასპექტი. პირველი: რა სახით იცავს რეალობაში დაცვის ეს საშუალება თავისუფლებააღკვეთილ პირებს? მეორე: რას ვგულისხმობთ „ხელმისაწვდომობაში“ - საკმარისია თუ არა ადვოკატის უბრალოდ ყოფნა პოლიციის განყოფილებაში? მესამე: რატომ არის საჭირო ადვოკატის ხელმისაწვდომობის რაც შეიძლება სწრაფად უზრუნველყოფა? მეოთხე: შესაძლებელია თუ არა ამ უფლების კანონიერი შეზღუდვა, მაგალითად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით? დაბოლოს, მეხუთე: რომელი ქვეყნების კანონმდებლობაშია უკვე გათვალისწინებული ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება?

რა სახით ახდენს ადვოკატის ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა გარანტირებას?

ადვოკატის დასწრება მრავალ მიზანს ემსახურება, მათ შორის არის:

- ხელისუფლებასა და დაკავებულ პირს შორის ძალის დისბალანსის კომპენსირება (კერძოდ, კანონის ცოდნის თვალსაზრისით);
- წამებისა და სხვა სახის ცუდად მოპყრობის თავიდან აცილება;
- შესაძლებლობა, მოგვარდეს თვითნებური ან არასათანადოდ დასაბუთებული დაკავების საკითხი; და
- შესაძლებლობა, შედგეს დაკითხვის ალტერნატიული ჩანაწერები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ნებისმიერი შეგროვებული მტკიცებულებების სისწორე.

თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე გაერო-ს საგანგებო მომხსენებელმა ადამიანის უფლებათა კომისიისთვის 2002 წლის 17 დეკემბერს წარდგინებულ თავის ანგარიშში პრევენციასთან დაკავშირებით შემდეგი რეკომენდაციები ჩამოაყალიბა:

„წამება ყველაზე ხშირად განმარტოებული პატიმრობის დროს ხდება ხოლმე. განმარტოებული პატიმრობა კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს, ხოლო განმარტოებულ პატიმრობაში მყოფი პირები დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ. [ძთელი შესაბამისი] ინფორმაცია ... საგულდაგულოდ უნდა იქნეს დაფიქსირებული... „ადვოკატების როლის შესახებ ძირითადი პრინციპების“ შესაბამისად, ყველა დაპატიმრებულ თუ დაკავებულ პირს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მათი უფლების შესახებ, დახმარება გაუწიოს მათ მიერ არჩეულმა ან სახელმწიფოს მიერ დანიშნულმა ადვოკატმა, რომელიც შეძლებს ქმედითი იურიდიული დახმარების გაწევას... დაცვაში

⁴ იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარის (1992 წლის 10 მარტი) მე-11 პუნქტი და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-2 ზოგადი კომენტარის (2008 წლის 24 იანვარი) მე-13 პუნქტი. იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (რომელიც ამ დოკუმენტის შექმნის დროს ჯერ არ იყო ძალაში შესული) ასევე ითვალისწინებს დაცვის აღნიშნულ საშუალებას მე-17 მუხლის (2)(დ) ქვეპუნქტში. იხ.

მოძუშავე თანამშრომლები, რომლებიც არ ასრულებენ აღნიშნულ დებულებებს, უნდა დაექვემდებარონ დისციპლინურ სასჯელს.⁵

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს ასევე გამოცემული აქვს რიგი შესაბამისი დასკვნითი მოსაზრებებისა, მათ შორის, მაგალითად, დასკვნითი მოსაზრებები ჩინეთის მე-4 პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით, რომლებშიც კომიტეტმა შემოფოთებით აღნიშნა „სამართლებრივი დაცვის საშუალებათა არარსებობა დაკავებულ პირთათვის, მათ შორის ... ადვოკატის შეზღუდული ხელმისაწვდომობა“.⁶ ანალოგიურად, თავის დასკვნით მოსაზრებებში ინდონეზიის 2001 წლის საწყის ანგარიშთან დაკავშირებით გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ასევე შემოფოთება გამოთქვა „თავისუფლებაალკვეთილი პირებისათვის მათი უფლებების განხორციელების ადეკვატური გარანტიების არარსებობის გამო, მათ შორის უფლებისა, აცნობონ თავიანთი მდგომარეობის შესახებ ახლო ნათესავს ან მესამე მხარეს და ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო დახმარებასა და მათ მიერ არჩეულ ადვოკატზე...“.⁷ გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს ასევე გამოუთქვამს კრიტიკა (სხვა ქვეყნებს შორის) ნიდერლანდების⁸, ესპანეთის⁹, აზერბაიჯანის¹⁰, საქართველოს¹¹, ესტონეთის¹², ლატვიის¹³, მოლდოვის¹⁴, ჩეხეთის რესპუბლიკის¹⁵, სლოვაკეთის¹⁶, თურქეთისა¹⁷ და ლიბიის¹⁸ მიმართ, ვინაიდან მათ ვერ მოახერხეს, უზრუნველყოთ ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ყველა თავისუფლებაალკვეთილი პირისათვის. ამ სფეროში კარგი პრაქტიკის მაგალითები ქვემოთ, D ნაწილშია განხილული.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო გაერო-ს ქვეკომიტეტმა (SPT) დამატებით განმარტა იურიდიული კონსულტანტის ხელმისაწვდომობის უფლებით მოტანილი სარგებლობა:

„პრევენციის თვალსაზრისით ადვოკატის ხელმისაწვდომობა დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა ცუდად მოპყრობის საწინააღმდეგოდ, და ეს უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა მხოლოდ ადამიანის დაცვის წარმართვის მიზნით. პოლიციის მიერ დაკავებული პირის დაკითხვისას ადვოკატის დასწრება არა მარტო ხელს შეუწყობს პოლიციელთა მხრიდან დაკავებულის მიმართ ცუდად მოპყრობისგან და მისი სხვა სახით შეურაცხყოფისგან თავის შეკავებას, არამედ ამან შეიძლება შეასრულოს დაცვის საშუალების როლი პოლიციის ოფიცრებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ წამოიჭრება ცუდად მოპყრობის შესახებ უსაფუძვლო ბრალდებები. გარდა ამისა, ადვოკატი ძირეული ფიგურაა თავისუფლებაალკვეთილი პირისათვის დახმარების გასაწევად მისი უფლებების, მათ შორის საჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობის, განხორციელებაში“.¹⁹

⁵ E/CN.4/2003/68, პუნქტი 26(ზ), შესაძლებელია მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

http://ap.ohchr.org/documents/alldocs.aspx?doc_id=3360. აღნიშნული პუნქტის დარჩენილ ნაწილში საგანგებო მომხსენებელი აგრძელებს დაცვის სხვა საშუალებების (მათ შორის, სამედიცინო შემოწმებების და სასამართლო ხელისუფლების წინაშე სწრაფად წარდგომის) განხილვას.

⁶ იხ. დასკვნითი მოსაზრებები ჩინეთთან დაკავშირებით, 2008 წლის 12 დეკემბერი, CAT/C/CHN/CO/4, პუნქტი 11

⁷ CAT A/57/44 (2002) პუნქტი 44(ე) (მახვილი ჩვენია).

⁸ CAT C/NET/CO/4 (2007) პუნქტი 6.

⁹ CAT A/58/44 (2003) პუნქტი 62.

¹⁰ CAT A/58/44 (2003) პუნქტი 88 (ზ).

¹¹ CAT A/56/44 (2001) პუნქტი 81 (ე).

¹² CAT A/58/44 (2003) პუნქტი 49 (დ).

¹³ CAT C/CR/31/3 (2003) პუნქტი 6 (თ) – ლატვიის შემთხვევაში კომიტეტმა აღნიშნა, რომ თუმცა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას კანონმდებლობა ითვალისწინებს, ეს უფლება პრაქტიკაში არ არის გარანტირებული.

¹⁴ CAT A/58/44 (2003) პუნქტი 138 (ბ).

¹⁵ CAT C/CR/32/2 (2004) პუნქტები 5 (ბ) და 6 (დ).

¹⁶ CAT A/56/44 (2001) პუნქტი 104(ზ).

¹⁷ CAT A/46/46 (1991) პუნქტი 121(გ).

¹⁸ A/54/44 of (1999) პუნქტი 4(ა).

¹⁹ ანგარიში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო გაერო-ს ქვეკომიტეტის მალდივებზე ვიზიტის შესახებ (CAT/OP/MDV/1, 2009 წლის 26 თებერვალი), პუნქტი 62.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის (3)(ბ) პუნქტში, რომელიც საქმის სამართლიანად განხილვის უფლებას ეხება, ნათქვამია, რომ სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის მიერ თავად არჩეულ ადვოკატთან ურთიერთობის უფლება მინიმალური გარანტია უნდა იყოს. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებულ თავის პრეცედენტულ სამართალში²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) განმარტა, რომ საქმის სამართლიანად განხილვის ცნების განუყოფელი ნაწილია ადვოკატის დასწრება დაკითხვაზე. ადვოკატის დაუსწრებლად მოპოვებული ჩვენება ნაკლებად დამაკმაყოფილებელი საფუძველია მსჯავრდებისათვის. იურიდიული მრჩევის დასწრება (თუ დაუსწრებლობა) შეიძლება ასევე გადაწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი გამოდგეს სისხლის სამართლის პროცესის სხვა ეტაპებზეც. საქმეში „ლემბდევი რუსეთის წინააღმდეგ“²¹ სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა. ეს პუნქტი ითვალისწინებს მოსამართლის წინაშე სწრაფად წარდგენის უფლებას, რათა დადგინდეს ადამიანის დაკავების კანონიერება. მიუხედავად იმისა, რომ მე-5 მუხლში არ არის ცალკე ნახსენები იურიდიული დახმარების მიღების უფლება, ზემოხსენებული დარღვევის დადგენა დაეფუძნა იმ ფაქტს, რომ ბ-ნი ლემბდევის ადვოკატების დაუსწრებლობა დაკავების თაობაზე თავდაპირველ მოსმენაზე არ იყო სამართლიანი საქმის გარემოებებში.²² 2008 წლის საქმეში „სალდუცი თურქეთის წინააღმდეგ“²³ სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმის სამართლიანად განხილვის უფლება ვერ იქნება მიჩნეული ქმედითად და ეფექტიანად (თეორიულს ან ილუზორულს საპირისპიროდ)²⁴ პირველი დაკითხვიდანვე ადვოკატის ხელმისაწვდომობის გარეშე.

რეგიონულ უწყებებს ანალოგიური დასკვნები აქვთ გამოტანილი. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა კომისიამ 1983 წლის ანგარიშში ნიკარაგუაში უმცირესობის მდგომარეობის შესახებ აღნიშნა, რომ ადვოკატის დასწრება დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა იმისათვის, რომ არ მოხდეს ადამიანის ტყუილად ბრალდება და წამება.²⁵ 1986 წლის დასკვნაში ელ-სალვადორის შესახებ კომისიამ ასევე განაცხადა, რომ იურიდიული დახმარების უფლება მოქმედებს დაკავებული პირის პირველივე დაკითხვიდან.²⁶

გარდა ამისა, ადვოკატის ყოლა დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა უკანონო და თვითნებური დაკავების წინააღმდეგ, რასაც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლი კრძალავს. თავისუფლების აღკვეთა დაარღვევს მე-9 მუხლს, თუ დაკავების განმახორციელებელი ორგანოები არ შეასრულებენ ქვეყნის კანონსა თუ პროცედურას, ან როდესაც დაკავება უბრალოდ დაუსაბუთებელია, თვითნებურია ან არაპროპორციულია სავარაუდო დანაშაულთან მიმართებაში.²⁷ დაკავება, რომელიც სხვა დროს კანონიერი იქნებოდა, შეიძლება ასევე გახდეს თვითნებური, თუკი კონკრეტულ გარემოებებში აღარ არის შესაძლებელი მისი გონივრულად დასაბუთება.²⁸ თვითნებურობის შანსი უფრო

²⁰ იხ., მაგალითად, საქმე „მიურიე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (განაცხადი 41/1994) და „ოქალანი თურქეთის წინააღმდეგ“ (განაცხადი 46221/99). ეს პრეცედენტული სამართალი გამოყენებული იქნა რიგ საქმეებში 2009 წელს – იხ. ნაწილი მე-4 ქვემოთ.

²¹ განაცხადი 4493/04.

²² იქვე – კერძოდ, იხ. პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პუნქტები 84-91.

²³ 2002 წლის 8 აგვისტოს განაცხადი 36391/02 – კერძოდ, იხ. დიდი პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების 55-ე პუნქტი. სალდუცის საქმეს მოჰყვა საქმე „დალმისი და კილიკი თურქეთის წინააღმდეგ“ (განაცხადი 25301/04, პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება).

²⁴ ეს ფოძლირება გამოყენებული იქნა უფრო ადრეულ გადაწყვეტილებაში საქმეზე „იმბროსია შვეიცარიის წინააღმდეგ“ (განაცხადი 13972/88, 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, იხ. 38-ე პუნქტი).

²⁵ ანგარიშიდან ნიკარაგუას მისიკტოს წარმომავლობის მოსახლეობის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ, OEA Ser.L/V/11.62, doc.10, rev. 3, 1983, გვ. 100, ციტირებულია ფოლის ნაშრომში „წამებასთან ბრძოლა: სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის“, შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: http://www.essex.ac.uk/combatingtorturehandbook/manual/2_content.htm, პუნქტი 2.30.

²⁶ ინტერამერიკული კომისიის 1986-1986 წ.წ. წლიური ანგარიში, OEA/Ser.L/V/II.68, doc. 8 rev. 1, 1986, გვ. 154, ელ-სალვადორი, ასევე ციტირებული ფოლისთან (იხ. ზემოთ), პუნქტი 2.30.

²⁷ იხ. ნოვაკი, კომენტარი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებით, Engel 2005 (მე-2 გამოცემა), გვ. 223-5.

²⁸ იქვე, 226-ე გვერდზე.

მაღალია, როდესაც დაკავებულ პირს არა ჰყავს ადვოკატი, რომელიც შეაფასებდა მისი დაკავების კანონიერებას და/ან დასაბუთებულობას. ამ კონტექსტში და დაკავშირებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა კომიტეტს გამოთქმული აქვს კომენტარი ადვოკატის ხელმისაწვდომობის აუცილებლობის შესახებ დასკვნით მოსაზრებებში სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შორის კუვეიტთან²⁹, სირიის არაბთა რესპუბლიკასთან³⁰, ვიეტნამთან³¹, მაროკოსა³² და ბელგიასთან³³, დაკავშირებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ადვოკატის ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ კანონი (როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო) გავრცელდეს სახელმწიფოს სრული კონტროლის ქვეშ მყოფ ადამიანებზე.

²⁹ CCPR A/55/40 (2000) პუნქტი 472.

³⁰ CCPR A/56/40 (2001) პუნქტი 81(14).

³¹ CCPR A/57/40 ტომი I (2002) პუნქტი 82(13).

³² CCPR A/55/40 (2000) პუნქტი 108.

³³ CCPR A/54/40 (1999) პუნქტი 83. ეს არ არის ამომწურავი ჩამონათვალი, ის მიზნად ისახავს უბრალოდ პრობლემის ფართო გავრცელების დემონსტრირებას, ისეთ ადგილებშიც კი, სადაც ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება გათვალისწინებულია (ან მოსალოდნელია, რომ გათვალისწინებული იყოს) კანონმდებლობაში ან საპროცესურო სახელმძღვანელო მითითებებში.

რ. როდის იწყებს მოქმედებას ეს უფლება?

თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან ადამიანის ავტონომია შეზღუდულია და ხელისუფლების ნებას ექვემდებარება. ამის შედეგად წარმოქმნილი ძალთა დისბალანსი წარმოშობს რეალურ რისკს იმისა, რომ ადამიანის უფლებები არ იქნეს დაცული.³⁴ ეს განსაკუთრებით ასეა, როდესაც დაკავებული პირი ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და ხელისუფლებას სჯერა, რომ ის მორალურად მართალია. მაგრამ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დაცული იყოს წამებისა და ცუდად მოპყრობისაგან.³⁵

ადვოკატის ყოლა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანს მოეთხოვება, გამოცხადდეს ოფიციალურ ორგანოში, მაშინაც კი, თუ ის არ არის დაპატიმრებული და შეუძლია უარის თქმა. ასეთ ვითარებაში მაინც არსებობს რისკი იმისა, რომ ამ ადამიანს ცუდად მოექცნენ ან აიძულონ, თავად დაიბრალოს დანაშაული ან სხვა ადამიანებს დააბრალოს.

ვინაიდან შეუძლებელია იმის გარანტირება, რომ დაკავების განმხორციელებელი ორგანოები (მათ შორის პოლიციის, დაზვერვის ოფიცრები და სახელმწიფოს მიერ დაქირავებული დაცვის თანამშრომლები) ზემოხსენებულ უფლებას ყველანაირ ვითარებაში დაიცავენ, აუცილებელია სათანადო დაცვის საშუალებების – მათ შორის ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების – უზრუნველყოფა.

პრაქტიკაში ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების ქმედითი განხორციელება გულისხმობს დაკავებული პირისთვის ნებართვის მიცემას, შეხვედეს მის მიერ არჩეულ იურიდიულ წარმომადგენელს რაც შეიძლება სწრაფად თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან. თავის 32-ე ზოგად კომენტარში ადამიანის უფლებათა კომიტეტი აცხადებს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში გათვალისწინებული იურიდიულ მრჩეველთან ურთიერთობის უფლება „მოითხოვს, რომ ბრალდებულ პირს ადვოკატთან სწრაფად შეხვედრის შესაძლებლობა მიეცეს.“³⁶

ადვოკატთან სწრაფად შეხვედრის აუცილებლობას ამ სფეროში მოქმედი რეგიონული უწყებებიც აღიარებენ. მაგალითად, საქმეში „სალლუცი თურქეთის წინააღმდეგ“³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქმის განხილვა შეიძლება უსამართლოდ იქნეს მიჩნეული ისეთ ადრეულ ეტაპზეც კი, როგორც არის პირველი დაკითხვის დრო, თუკი არ იქნება უზრუნველყოფილი დაცვის საშუალებები, მაგალითად, ადვოკატის ხელმისაწვდომობა.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (CPT) 1992 წელს შემდეგი სტანდარტი ჩამოაყალიბა:

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას: ადამიანის უფლებას, აცნობოს თავისი დაკავების ფაქტი მის მიერ არჩეულ მესამე მხარეს (ოჯახის წევრს, მეგობარს, საკონსულოს), ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას და სამედიცინო შემოწმების მოთხოვნის უფლებას ... წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, ეს არის დაცვის სამი ფუნდამენტური საშუალება დაკავებულ პირთა მიმართ ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ, რომლებიც უნდა ამოქმედდეს თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე,

³⁴ იხ. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საკითხებზე გაერო-ს საგანგებო მომსახურების მიერ ადამიანის უფლებათა კომისიისთვის 2005 წლის 23 დეკემბერს წარდგენილი ანგარიში (E/CN.4/2006/6, შესაძლებელია მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.un.org/Docs/journal/asp/ws.asp?m=E/CN.4/2006/6>).

³⁵ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის მე-2 მუხლი.

³⁶ იხ. <http://daccess-ods.un.org/access.nsf/Get?Open&DS=CCPR/C/GC/32&Lang=E> პუნქტი 34.

³⁷ იხ. ზემოთ, 23-ე სქოლიო.

მიუხედავად იმისა, თუ რა სახით არის თავისუფლების აღკვეთა აღწერილი ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში (დაკავება, დაპატიმრება და ა.შ.)³⁸.

1996 წელს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა კიდევ გამოთქვა თავისი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით:

„წამების საწინააღმდეგო კომიტეტს სურს ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ, მისი გამოცდილებით, ადამიანის დაშინებისა და მის მიმართ ფიზიკური ცუდად მოპყრობის რისკი ყველაზე მაღალია იმ პერიოდში, რომელიც უშუალოდ მოსდევს თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, პოლიციის მიერ დაკავებული პირებისთვის აღნიშნულ პერიოდში ადვოკატის ხელმისაწვდომობა ძალზე მნიშვნელოვანი დაცვის საშუალებაა ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ. ამ შესაძლებლობის არსებობა გადააფიქრებინებს იმ ადამიანებს, ვინც ცუდად შეიძლება მოეპყროს დაკავებულებს, ასეთ მოქცევას; გარდა ამისა, ადვოკატს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს სათანადო ზომები, თუკი ცუდად მოპყრობა მაინც მოხდება.“³⁹

დაბოლოს, 2002 წელს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა კომენტარი გააკეთა ევროპაში დაცვის ამ საშუალების სტატუსის შესახებ:

„... ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება პოლიციის მიერ დაკავების პერიოდში ამჟამად ფართოდ არის აღიარებული იმ ქვეყნებში, რომლებშიც წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ვიზიტით ჩადის; იმ რაშენიშე ქვეყანაში, სადაც ეს უფლება ჯერ არ არის შეტანილი კანონმდებლობაში, არსებობს მისი შემოღების გეგმები.“⁴⁰

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა თავის დასკვნით მოსაზრებებში რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილ მესამე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ „... თავისუფლებააღკვეთილ პირებს დაკავების მომენტიდანვე არა აქვთ სათანადო შესაძლებლობა, დაუკავშირდნენ იურიდიულ კონსულტანტს, ექსმს და ოჯახის წევრებს ...“⁴¹ თავის დასკვნით მოსაზრებებში ყაზახეთთან დაკავშირებით (2008 წლის 12 დეკემბერი) კომიტეტმა საგანგებო რეკომენდაცია გამოთქვა:

„მონაწილე სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ქმედითი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ ადამიანი არ დაექვემდებაროს *de facto* გაუთვითცნობიერებელ დაკავებას და რომ ყველა დაკავებულ ეჭვმიტანილს დაკავების განმავლობაში რეალურად მიუწვდებოდეს ხელი სამართლებრივი დაცვის ყველა მნიშვნელოვან საშუალებაზე. ეს გულისხმობს, კერძოდ, ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე ... და ინფორმირებას საკუთარი უფლებების, მათ შორის დაკავებულის მიმართ წაყენებული ბრალდებების, და მოსამართლის წინაშე სწრაფად წარდგენის უფლების შესახებ.“⁴²

აფრიკაში წამებისა და ცუდად მოპყრობის აკრძალვისა და თავიდან აცილების შესახებ „რობინის კუნძულების სახელმძღვანელო მითითებების“ (რომლებიც 2002 წელს მიიღო ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკულმა კომისიამ) მე-20 სახელმძღვანელო მითითება ასევე საგანგებოდ ითვალისწინებს ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას „იმ მომენტიდან, როდესაც [ადამიანს] შეეზღუდება თავისუფლება“.⁴³

³⁸ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტების ამსახველი დოკუმენტი - ამონარიდები წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშების „არსებითი“ ნაწილებიდან. შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf> [2009 წლის ვერსია] - ამონარიდი მე-6 გვერდიდან (მახვილი ჩვენია).

³⁹ იქვე, გვ. 8.

⁴⁰ იქვე, გვ. 10.

⁴¹ იხ. დასკვნითი მოსაზრებები რუსეთთან დაკავშირებით, 2002 წლის 6 ივნისი, CAT/C/CR/28/4, პუნქტი 6(გ) (მახვილი ჩვენია).

⁴² CAT/C/KAZ/CO/2 (2008) პუნქტი 9 (მახვილი ჩვენია).

⁴³ სახელმძღვანელო მითითებები თან ერთვოდა ადამიანისა და ხალხების უფლებების აფრიკული კომისიის რეზოლუციას „სახელმძღვანელო მითითებები და ზომები აფრიკაში წამების, სასტიკი, არაადამიანური თუ

2008 წლის მარტში ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა კომისიამ მიიღო სახელმძღვანელო მითითებები სახელწოდებით „პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა ამერიკაში თავისუფლებაალკვეთილი პირების დასაცავად.“ ქვემოთ მოცემულია ამონარიდი D პრინციპიდან - „სათანადო სამართლებრივი პროცესი“:

„ყველა თავისუფლებაალკვეთილ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს დაცვა და ჰქავდეს მის ან მისი ოჯახის მიერ დასახელებული ან სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი; მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, ესაუბრონ ადვოკატს განცალკევებით, ჩარევისა თუ ცენზურის, შეფერხებებისა თუ გაუმართლებელი დროის შეზღუდვების გარეშე, მათი დაკავების თუ დაპატიმრების მომენტიდან, და აუცილებლად კომპეტენტური ხელისუფლების წინაშე მათ მიერ გაკეთებულ პირველ განცხადებამდე.“⁴⁴

ადვოკატების როლის შესახებ გაერო-ს ძირითადი პრინციპების⁴⁵ მე-7 პრინციპი გვთავაზობს კონკრეტულ დროის ლიმიტს:

„სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა დაპატიმრებულ თუ დაკავებულ პირს, მიუხედავად იმისა, წაყენებული აქვს თუ არა სისხლის სამართლის ბრალდება, სწრაფად და, ნებისმიერ შემთხვევაში, არა უგვიანეს ორმოცდარვა საათისა დაკავების თუ დაპატიმრების მომენტიდან, მიეცეს ადვოკატთან შეხვედრის შესაძლებლობა“.

ამ უფლებას განამტკიცებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის № 43/173 რეზოლუციაზე თანდართული „დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერ ფორმას დაქვემდებარებული ყველა პირის დაცვის პრინციპების კრებულის“ მე-15 პრინციპი:

„მიუხედავად მე-16 პრინციპის მე-4 პუნქტში და მე-18 პრინციპის მე-3 პუნქტში მითითებული გამონაკლისებისა, დაკავებული თუ დაპატიმრებული პირის ურთიერთობა გარე სამყაროსთან, კერძოდ კი ოჯახთან ან ადვოკატთან, არ უნდა გადაიდოს რამდენიმე დღეზე მეტი ხნით.“⁴⁶

1990 წლიდან, როდესაც ეს წესები გამოქვეყნდა, მიღწეული იქნა ექსპერტების კონსენსუსი აღნიშნულ ვადასთან დაკავშირებით. ამჟამად საზოგადოდ არის აღიარებული, რომ 48 საათიც კი ზოგ შემთხვევაში ძალზე დიდი დრო შეიძლება იყოს. მაგალითად, წამების საკითხებზე გაერო-ს საგანგებო მომხსენებელმა ადამიანის უფლებათა კომისიისთვის 2003 წლის 27 თებერვალს წარდგენილ თავის ანგარიშში გამოთქვა რეკომენდაცია, რომ ეს პერიოდი არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი.⁴⁷

ქვემოთ, D ნაწილში, გაეცნობით იმ ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი კანონების კონკრეტულ მაგალითებს, რომლებსაც გათვალისწინებული აქვთ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება თავისუფლების ალკვეთის მომენტიდანვე. ქვეყნებში, სადაც ამ ნორმის ფორმულირება დაუზუსტებელია (მაგალითად, კანადაში), სასამართლოებს გამოტანილი აქვთ გადაწყვეტილება, რომ „დაუყოვნებლივ“ ნიშნავს იმ მომენტიდან, როდესაც ხდება ადამიანის დაკავება – იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მას დაკავებისას არ წაეყენება ბრალდება.

ირრ. რას ნიშნავს „ხელმისაწვდომობა“ პრაქტიკაში?

ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის აკრძალვისა თუ თავიდან აცილებისათვის,“ 2002 წლის 23 ოქტომბერი. იხ.:

http://www.achpr.org/english/resolutions/resolution66_en.html

⁴⁴ პრინციპების ტექსტი შევიძლიათ იხილოთ კომისიის ვებგვერდზე შემდეგ მისამართზე:

<http://www.cidh.org/Basicos/English/Basic21.a.Principles and Best Practices PDL.htm> (მახვილი ჩვენია).

⁴⁵ იხ. <http://www2.ohchr.org/english/law/lawyers.htm>

⁴⁶ იხ.: <http://www.un.org/documents/ga/res/43/a43r173.htm>. აღნიშნული გამონაკლისები ეხება „გამოძიების საჭიროებებს“ და „უსაფრთხოებისა და სათანადო წესრიგის“ დამყარებას.

⁴⁷ E/CN.4/2003/68, at § 26(g), შევიძლიათ მოვიძიოთ შემდეგ მისამართზე:

http://ap.ohchr.org/documents/alldocs.aspx?doc_id=3360

დაკავებულ პირს უნდა მიეცეს თავის ადვოკატთან შეხვედრის ნებართვა მანამდე, სანამ მას დაკითხავენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. შეხვედრა უნდა ჩატარდეს განცალკევებით, ადვოკატისა და დაკავებული პირის საუბრის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად, რაც წარმოადგენს მრავალი საკანონმდებლო სისტემის ქვაკუთხედს – განსაკუთრებით სისხლის სამართლის საკითხებში.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი თავის 32-ე ზოგად კომენტარში სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე თანასწორობისა და საქმის სამართლიანი განხილვის შესახებ აცხადებს:

„ადვოკატთან ურთიერთობის უფლება მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიეცეს დაუყოვნებლივი შესაძლებლობა, შეხვედეს ადვოკატს. ადვოკატებს უნდა შეეძლოთ თავიანთ კლიენტებთან შეხვედრა განცალკევებით და დაკავებულ პირებთან საუბარი პირობებში, რომლებშიც მთლიანად დაცულია მათი ურთიერთობების კონფიდენციალურობა. ამასთან, ადვოკატებს უნდა შეეძლოთ იმ პირების კონსულტირება და წარმოდგენა, რომლებსაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლის დანაშაული, თანახმად საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული ეთიკის ნორმებისა, ნებისმიერი მხრიდან რაიმე შეზღუდვების, ზემოქმედების, ზეწოლის ან არასათანადო ჩარევის გარეშე.“⁴⁸

გაერო-ს ძირითადი პრინციპები ადვოკატების როლის შესახებ ითვალისწინებს „სამართლებრივი დაცვის საგანგებო საშუალებებს სისხლის სამართლის საქმეებში“. ამ დოკუმენტის მე-5 და მე-8 პრინციპები უფრო დეტალურად აღწერს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს:

„მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა ადამიანს დაუყოვნებლოვ ეცნობოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომ მათ აქვთ უფლება, ისარგებლონ მათ მიერ შერჩეული ადვოკატის დახმარებით დაპატიმრების, დაკავების ან მათთვის სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდების წაყენების შემთხვევაში.

ყველა დაპატიმრებულ, დაკავებულ ან სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ პირს უნდა მიეცეს ადვოკატის მიერ მისი მონახულების, ადვოკატთან ურთიერთობის და კონსულტირების სათანადო შესაძლებლობები, დრო და საშუალებები, დაყოვნების, ჩარევის ან ცენზურის გარეშე და სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ამგვარი კონსულტაციები შეიძლება ჩატარდეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების თვალთახედვის არეში, მაგრამ არა სასმენ მანძილზე.“

ადვოკატი ასევე უნდა ესწრებოდეს დაკითხვებს, განსაკუთრებით უნებლიე აღიარებების თავიდან ასაცილებლად. როგორც მოსამართლეებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობის საკითხებზე გაერო-ს საგანგებო მომხსენებელმა ჩრდილოეთ ირლანდიაში ირლანდიის რესპუბლიკური არმიის საპატიმროების დათვალიერების შემდეგ თავის 1998 წლის ანგარიშში განაცხადა:

„საგანგებო მომხსენებლის აზრით, სასურველია ადვოკატის დასწრება პოლიციის მიერ წარმოებული დაკითხვების დროს, რაც დაცვის მნიშვნელოვანი ზომაა ბრალდებულის უფლებების დასაცავად. იურიდიული მრჩევლის არყოფნა შეიცავს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების პოტენციალს, განსაკუთრებით საგანგებო მდგომარეობის დროს, როდესაც საქმე ეხება სერიოზულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულებრივ ქმედებებს.“⁴⁹

⁴⁸ იხ: <http://daccess-ods.un.org/access.nsf/Get?Open&DS=CCPR/C/GC/32&Lang=E> გვ. 34.

⁴⁹ E/CN.4/1998/39/Add.4, პუნქტი 47, იხ. ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: <http://www.unhcr.org/refworld/category,REFERENCE,,GBR,3ae6b0ea8,0.html>

საერთაშორისო სისხლის სამართალი აღიარებს დაკითხვის პროცესზე დამოუკიდებელი დაკვირვების საჭიროებას. მაგალითად, რომის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 55-ე მუხლის (2)(დ) პუნქტი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს იურიდიქციას დაქვემდებარებულ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი უნდა სარგებლობდეს უფლებით, დააკითხოს ადვოკატის თანდასწრებით (გარდა შემთხვევისა, როდესაც ეს პირი ნებაყოფლობით უარს აცხადებს ამ უფლებაზე).⁵⁰ მსგავს, თუმცა ნაკლებად დაკონკრეტებულ, გარანტიებს შეიცავს სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სტატუტი რუანდისთვის⁵¹ და ყოფილი იუგოსლავიისთვის.⁵² ადვოკატის ხელმისაწვდომობასა და საქმის სამართლიან განხილვაზე უფლებების ურთიერთკავშირის შემდგომი განხილვა იხილეთ ქვემოთ, ძრ ნაწილში.

ხელისუფლებამ არა მხოლოდ ადვოკატების საპატიმროებში დაშვების ნებართვა უნდა გასცეს. თუ პატიმარი არ იცნობს ადვოკატს ან არა აქვს მისი დაქირავების საშუალება, სახელმწიფომ უნდა დაფაროს დამოუკიდებელი ადვოკატის ხარჯები. იდეალურ შემთხვევაში ასეთი ადვოკატი შერჩეული იქნება ადგილობრივ ადვოკატთა ასოციაციის (ან ეკვივალენტური ორგანიზაციის) როსტერში არსებული მოხალისეების სიიდან. ამ მხრივ საგულისხმოა ადვოკატთა როლის თაობაზე ძირითადი პრინციპების მე-6 პრინციპი:

„ნებისმიერ პირს, რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი, ყოველთვის, როდესაც ამას მოითხოვს სამართლის ინტერესები, აქვს უფლება, დაუნიშნონ დანაშაულის ხასიათის შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე ადვოკატი, ეფექტიანი იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად, უფასოდ, თუ მას არ გააჩნია ამგვარი მომსახურების ასანაზღაურებლად საჭირო სახსრები.“

პატიმრების მიმართ მოპყრობის გაერო-ს სტანდარტულ მინიმალურ წესებში⁵³ ასევე განხილვა ეს საკითხი. 93-ე წესი ითვალისწინებს შემდეგს:

„დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, პატიმარს, რომლის საქმე ჯერ არ არის განხილული, უნდა დაერთოს ნება, მოითხოვოს უფასო იურიდიული დახმარება, როდესაც ამგვარი დახმარება ხელმისაწვდომია, და მას უნდა მიეცეს ადვოკატთან დაცვის საკითხებზე შეხვედრების და კონფიდენციალური მითითებების მომზადების და მისთვის გადაცემის საშუალება. ამ მიზნით, თუ იგი მოისურვებს, მას უნდა მოეწოდოს საწერი მასალა. ინტერვიუები პატიმარსა და მის ადვოკატს შორის შეიძლება იყოს პოლიციის ან დაწესებულების ოფიციალური პირის თვალთახედვის, მაგრამ არა მოსმენის არეში.“

95-ე წესი ანალოგიურ დაცვას ავრცელებს ბრალის წაყენების გარეშე დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირებზე.

გაერო-ს „დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერ ფორმას დაქვემდებარებული ყველა პირის დაცვის პრინციპების კრებულის“ („პრინციპების კრებული“)⁵⁴ მე-17 პრინციპი მოიცავს ითვალისწინებს:

⁵⁰ რომის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, A/CONF.183/9, იხ. ინტერნეტში შემდეგ მისამართზე:
<http://www.iccpi.int/Menus/ICC/Legal+Texts+and+Tools/Official+Journal/Rome+Statute.htm>

⁵¹ იხ. <http://www.icty.org/ENGLISH/basicdocs/statute.html> მუხლი 20(4).

⁵² იხ. http://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_sept08_en.pdf მუხლი 21(4).

⁵³ იხ. <http://www2.ohchr.org/english/law/pdf/treatmentprisoners.pdf>. წესები მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის პირველ კონგრესზე, რომელიც გაიმართა ჟენევაში 1955 წელს, და დამტკიცებული იქნა ეკონომიკური და სოციალურ საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის № 663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის № 2076 (LXII) რეზოლუციებით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ, მიუხედავად მათი სახელწოდებისა, ეს წესები ვრცელდება არა მხოლოდ პატიმრებზე, არამედ წინასწარი დაკავების ადგილებში მყოფ და სხვა გაუსამართლებელ დაკავებულებზე (95-ე წესი).

⁵⁴ იხ. <http://www2.ohchr.org/english/law/bodyprinciples.htm>

„1. დაკავებულ პირს უნდა მიეცეს იურიდიული მრჩეველის დახმარებით სარგებლობის უფლება. დაუყოვნებლოვ დაკავების შემდეგ კომპეტენტურმა ორგანომ მას უნდა აცნობოს მისი უფლების შესახებ და უზრუნველყოს იგი ამ უფლებით სარგებლობისათვის საჭირო საშუალებებით.

2. თუ დაკავებულ პირს არა ჰყავს მის მიერ შერჩეული იურიდიული მრჩეველი, იგი უფლებამოსილი უნდა იყოს, რომ მას სასამართლო ან სხვა სახელმწიფო ორგანომ დაუნიშნოს იურისკონსულტი ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს სამართლის ინტერესები, უფასოდ, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები მომსახურების საფასურის გადასახდელად.“

შეჯამების სახით რომ ვთქვათ, ხელმისაწვდომობა ამ კონტექსტში ნიშნავს პირისპირ (განცალკევებით) კონსულტაციას პროცედურის მკაცრი დაცვის და დაკავებულის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად. ხელისუფლება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამგვარ კონსულტაციას იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა დაკავებული პირის უფლებების განსახორციელებლად.

რძ. ეს აბსოლუტური უფლებაა თუ კვალიფიციური?

ამ ნაწილში შევეცდებით გამოვიკვლიოთ, არსებობს თუ არა ადვოკატების ხელმისაწვდომობის რაიმე გამართლებული შეზღუდვები. შეიძლება თუ არა მისი შეზღუდვა, მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე? არის თუ არა რაიმე განსხვავება იმაში, უნდა დაიკითხოს დაკავებული თუ მას უბრალოდ არაფორმალურად უნდა დაუსვან კითხვები?

მრავალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეჟიმი ითვალისწინებს ცალკე საკანში (განმარტოებულ) პატიმრობას, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მიმდინარე გამოძიების ინტერესები მოითხოვს ან როდესაც საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. მაგრამ ასეთი რეჟიმები ზრდის პატიმრებისადმი ცუდად მოპყრობისა და მათი უფლებების სხვა სახის დარღვევების რისკს და ამიტომ საჭიროა მათი მორიდება ან მკაცრად შეზღუდვა.

იურიდიული წარმომადგენლობის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ საერთაშორისო გამოხატულებას შეიცავს პრინციპების კრებული, რომლის მე-18 პრინციპში (მე-3 პუნქტში) ნათქვამია:

3. დაუშვებელია დაკავებული ან მსჯავრდებული პირის უფლების – შეხვედეს ადვოკატს, მიიღოს მისგან რჩევა და დაყოვნების ან ცენზურის გარეშე და სრული კონფიდენციალურობის დაცვით ჰქონდეს მასთან კავშირი – შეჩერება ან შეზღუდვა, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა, რომლებსაც ზუსტად განსაზღვრავს კანონი ან სამართლებრივი ნორმები, როდესაც ამას აუცილებლად ჩათვლის სასამართლო ხელისუფლება და სხვა ორგანოები უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.“

თუმცა ეს დებულება შეზღუდულია მე-15 პრინციპით, რაც განხილულია წინამდებარე დოკუმენტის იმ ნაწილში.

პრინციპების კრებულის დებულებები დადასტურდა 2009 წლის დეკემბერში გაერო-ს გენერალური ასამბლეის № 64/153 რეზოლუციის 19-20 პუნქტებში.⁵⁵ ამ რეზოლუციაში ასაშლელა:

„მოითითებს თავის 1988 წლის 9 დეკემბრის № 43/173 რეზოლუციაზე „დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერ ფორმას დაქვემდებარებული ყველა პირის დაცვის პრინციპების კრებულის“ შესახებ და ამასთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს

⁵⁵ იხ: <http://www.un.org/ga/64/resolutions.shtml>

იმ ფაქტზე, რომ იმის უზრუნველყოფა, რომ ნებისმიერი დაპატიმრებული ან დაკავებული პირის დაუყოვნებლივ პირადად წარდგენა მოსამართლის ან სხვა დამოუკიდებელი სასამართლო მოხელის წინაშე, მისთვის სასწრაფო და სისტემატური სამედიცინო და ადვოკატის მომსახურების გაწევა და ოჯახის წევრების დაშვება მის მოსანახულებლად, ასევე დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმების დაშვება წარმოადგენს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალებებს, [და]

შეახსენებს ყველა სახელმწიფოს, რომ განხგრძობილი ვადით ცალკე საკნებში ან სხვა გასაიდუმლოებულ ადგილებში პატიმრობა ხელს უწყობს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის ჩადენას და შეიძლება თვითონ წარმოადგენდეს ამგვარი მოპყრობის ერთ-ერთ ფორმას, და მოუწოდებს სახელმწიფოებს, განახორციელონ ადამიანის თავისუფლებასთან, უსაფრთხოებასა და ღირსებასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები და უზრუნველყონ დაკავებისა და დაკითხვის გასაიდუმლოებული ადგილების გაუქმება.“

ერთსულოვნად მიღებული ეს რეზოლუცია იმის დასტურია, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის დასკვნით, დაუშვებელია ცალკე საკანში და გასაიდუმლოებულ ადგილებში ხანგრძლივი დროით დაკავების გამოყენება, განსაკუთრებულ შემთხვევებშიც კი.⁵⁶

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ოკალანი თურქეთის წინააღმდეგ“⁵⁷ დაადგინა, რომ ადამიანი უნდა ჰქონდეს ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება თავისი დაკავების გასაჩივრების მიზნით, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი – რომელიც საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიებს ითვალისწინებს – ჩვეულებრივ, მოითხოვს, რომ „ბრალდებულ პირს დაერთოს ნება, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით პოლიციის მიერ წარმოებული დაკითხვის საწყისი ეტაპიდან“.⁵⁸ „თუმცა“, აგრძელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „ეს უფლება, რომელიც არ არის გარკვევით ჩამოყალიბებული კონვენციაში, შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს შესაბამისი მიზეზების არსებობისას. ყოველ საქმესთან მიმართებაში საკითხავია, ხომ არ მოხდა ამ შეზღუდვით მთლიანობაში სასამართლო განხილვის დროს საქმის სამართლიან მოსმენაზე ბრალდებულის უფლების ხელყოფა.“⁵⁹

2008 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა და დააკონკრეტა მის მიერ ოკალანის საქმეში დაფიქსირებული პოზიცია საქმეში „საღლუცი თურქეთის წინააღმდეგ“.⁶⁰ სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება მოითხოვს ადვოკატის ხელმისაწვდომობას პირველივე დაკითხვიდან, შემდეგ კი განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ამ ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მნიშვნელოვანი მიზეზები, „დაცვის უფლებები გამოუსწორებლად იქნება შელახული, თუ მსჯავრდებისათვის გამოყენებული იქნება მამხილებელი განცხადებები, გაკეთებული პოლიციის მიერ ადვოკატის დაუსწრებლად ჩატარებული დაკითხვის დროს.“ ეს ნიშნავს, რომ ადვოკატის დახმარების უფლებაზე უარის თქმაც და შეიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებული სხვა საპატიო გამოწვევების კი არ გამოდგება ყოველთვის ხელისუფლების მიერ ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის გასამართლებელ მიზეზად, თუ შემდგომი

⁵⁶ იძულებითი გაუჩინარებისაგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (რომელიც ჯერ არ არის შესული ძალაში, მაგრამ ასევე ერთსულოვნად არის მიღებული გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წლის 20 დეკემბერს) თავისი 17(1) მუხლით აგრეთვე კრძალავს საიდუმლო დაკავებას.

⁵⁷ განაცხადი № 46221/99. იხ. ასევე საქმე „მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (განაცხადი № 41/1994).

⁵⁸ „ოკალანი თურქეთის წინააღმდეგ“, იქვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველი სექციის (პალატის) გადაწყვეტილება, 2003 წლის 12 მარტი, პუნქტი 140.

ეს მონაკვეთი დამტკიცებული იქნა დიდი დიდი პალატის მიერ აპელაციისას, დიდი პალატის 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების 131-ე პუნქტში.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იხ. ზემოთ, 23-ე სქოლიო.

დაყრდნობა შესაბამის ზეპირ ჩვენებებზე არ იქნება სამართლიანი ყველა გარემოების გათვალისწინებით.⁶¹

რაც შეეხება გამონაკლის გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა კომიტეტის შემდეგი განცხადება:

„იმ უფლებების დაცვა, რომლებიც ცალსახად ხელშეუვალად არის აღიარებული მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, თავისთავად გულისხმობს, რომ საჭიროა მათი უზრუნველყოფა საპროცესო გარანტიებით, მათ შორის, ხშირად, სასამართლო გარანტიებით. დაუშვებელია პაქტის საპროცესო გარანტიებთან დაკავშირებული მუხლის მიმართ იმგვარი ზომების გატარება, რომლებიც ხელყოფდა ხელშეუვალი უფლებების დაცვას. დაუშვებელია მე-4 მუხლის იმგვარი გამოყენება, რის შედეგადაც მოხდება ხელშეუვალი უფლებების დარღვევა ...“⁶²

აქედან გამომდინარე, დაუშვებელია სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალებების, როგორცაა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება, იმდენად შეზღუდვა, რომ ამით ხელი შეეწყოს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 (ხელშეუვალი) მუხლის დარღვევას.

წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებელი ასევე შეეხო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდვების დაწესების საკითხს და წამოჭრა წინადადება სახელმწიფოს წინაშე არაერთგზის წამოჭრილი ერთ-ერთი პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით:

„განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ამტკიცებენ, რომ ადვოკატთან დაკავებულის დაუყოვნებელმა კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები და როდესაც კონტაქტის ასეთი შეზღუდვა დამტკიცებულია სასამართლო ორგანოს მიერ, საჭიროა თუნდაც ადვოკატთა ასოციაციის მიერ რეკომენდებულ ადვოკატთან შეხვედრებზე ნებართვის მიცემის შესაძლებლობის დაშვება ...“⁶³

ზოგადად ადვოკატის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ბერკეტია დაკავებულთან მიმართებაში სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქმის სამართლიანი განხილვისა და ყველა სახის ცუდად მოპყრობისაგან დაცვის ვალდებულების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავებულ პირს უარს ეუბნებიან ადვოკატთან შეხვედრაზე ან გაუშვებულად აყოვნებენ ამ შეხვედრას, მატულობს ამ ვალდებულებების დარღვევის რისკი.

⁶¹ იხ. ასევე საქმე „პიმჩალინიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“ (განაცხადი 7025/04, პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, კერძოდ პუნქტები 72-91), საქმე „ოლეგ კოლესნიკი უკრაინის წინააღმდეგ“ (განაცხადი № 17551/02, პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 35) და საქმე „სავაში თურქეთის წინააღმდეგ“, 2006 წლის 13 მარტის განაცხადი № 9672/03; პალატის 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, კერძოდ, პუნქტები 53-70).

⁶² იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის 29-წ. ზოგადი კომენტარი, პუნქტი 15. აღნიშნული პუნქტის დარჩენილ ნაწილში მოცემულია საილუსტრაციო მაგალითი სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით (მე-6 მუხლი).

⁶³ ადამიანის უფლებათა კომიტეტისთვის 2003 წელს წარდგენილი ანგარიში – იხ. ზემოთ, მე-5 სქოლიო.

D. რომელი ქვეყნების კანონებშია ეს უფლება გათვალისწინებული?

ევროპა

იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება განსაკუთრებით კარგად არის განსაზღვრული ევროპაში. „ციხის ევროპული წესებით“ დადგენილია, რომ „პატიმრებს, რომელთა საქმე ჯერ სასამართლოს არ განუხილავს, მკაფიოდ უნდა განემარტოთ მათი უფლებები იურიდიული კონსულტაციის მიღების თაობაზე“⁶⁴.

ევროპაში ამ უფლების აღიარების ერთი თვალსაჩინო მაგალითია საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (*Code de Procédure Pénale*) მუხლი 63(4), რომლის თანახმადაც ადამიანს, დაპატიმრების მომენტიდანვე, შეუძლია მოითხოვოს ადვოკატთან გასაუბრება⁶⁵. ეს ნორმა, რომელიც ზემოთ ინტერპრეტირებული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის კონტექსტში (კერძოდ, „სალდუცის“ საქმეში), პრაქტიკაში რეალიზებული იქნა 2009 წლის ივლისსა და ნოემბერში, როდესაც ბობინის (პარი-სენ-დენი) ზოგადი იურისდიქციის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს (*Tribunal de Grande Instance*) ზედამხედველმა მოსამართლეებმა უარი თქვეს პოლიციაში სერიოზულ დანაშაულში იმ ეჭვმიტანილთა პატიმრობის ვადის (*garde à vue*) გაგრძელებაზე, რომლებიც არ შეხვედრიან ადვოკატს⁶⁶. ამ ანგარიშის დაწერის დროს ეს კონსტიტუციური დავის საკითხი იყო საფრანგეთში⁶⁷.

შვედეთის სამართალწარმოების საპროცესო კოდექსის მე-10 თავის 23-ე მუხლის თანახმად, ყველა დაკავებულ ადამიანს აქვს უფლება, პოლიციათვის ჩვენებების მიცემის დროს, ასევე, წინასწარი გამოძიების დროს, თუკი ეს არ შეუშლის ხელს გამოძიებას⁶⁸, ჰყავდეს იურიდიული კონსულტანტი. ეს ნორმა მოიწონა წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტმა 2008 წელს შეკვლევაში მისიით ყოფნის დროს:

„წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტი მიესალმება ამ ახალი ნორმის შემოღებას, ვინაიდან იგი თავისუფლების შეზღუდვის დაწყებისთანავე აძლევს იურიდიული კონსულტანტის ყოლის საშუალებას ყველა იმ ადამიანის, ვინც ვალდებულია, დარჩეს პოლიციაში. იგი ასევე ასახავს ფაქტს, რომ არ არის აუცილებელი, ადამიანი, რომელიც ჩვენებას აძლევს პოლიციას, იყოს ეჭვმიტანილი, თუმცა შესაძლოა ასეთად იქცეს. წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტი რეკომენდაციას აძლევს შვედეთის ხელისუფლებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ამ ახალი ნორმის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებისათვის და ამ უფლების შესახებ იმ ადამიანთა სისტემატურად ინფორმირებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან, დარჩნენ პოლიციაში“⁶⁹.

⁶⁴ იხ. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 შემდეგ ვებგვერდზე: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=955747>

⁶⁵ არაოფიციალური თარგმანი – ორიგინალი არის *Dès le début de la garde à vue, la personne peut demander à s'entretenir avec un avocat.*

⁶⁶ ტრიბუნალის გადაწყვეტილებები არ ქვეყნდება, მაგრამ 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების ასლის ნახვა შეიძლება LeMonde.fr –ის ვებგვერდზე:

<http://combatsdroitshomme.blog.lemonde.fr/files/2009/12/decision-jld-bobignycedh.1259856473.pdf>.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.abolir-gardeavue.fr> – ეს არის იმ კამპანიის ვებგვერდი, რომელიც პარიზელმა ადვოკატებმა ფრანგული *garde à vue*-ს სისტემის რეფორმირებისათვის წამოიწყეს, რომელსაც უნდა უზრუნველყო ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებას წინააღმდეგობაც ახლდა – 2009 წლის 3 დეკემბერს *Le Syndicat des Commissaires de la Police Nationale*-მა (www.lescpn.fr) გამოაქვეყნა პრესრელიზი, რომელშიც დაგმო ადამიანის უფლებათა ევროპული კანონისთვის პრიორიტეტის მინიჭება საფრანგეთის ეროვნულ კანონთან შედარებით.

⁶⁷ იხ., მაგალითად: <http://info.france2.fr/france/la-garde-a-vue-conforme-a-la-constitution--61451481.html>

⁶⁸ კოდექსის ოფიციალური ინგლისური თარგმანი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებმისამართზე: <http://www.regeringen.se/content/1/c4/15/40/472970fc.pdf>

⁶⁹ იხ. ანგარიში გაერო-ს წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტის შვედეთში ვიზიტზე (CAT/OP/SWE/1, 10 სექტემბერი, 2008) §56.

საბერძნეთის სასჯელაღსრულების კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულია ადვოკატის ხელმისაწვდომობა იმ დაკავებულთათვის, რომლებიც ციხეში არიან⁷⁰. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი ასევე უზრუნველყოფს კომუნიკაციის უფლებას კრიმინალური დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს შორის⁷¹. 2003 წელს საბერძნეთის მთავარმა პოლიციამ გამოსცა პროტოკოლი (დირექტივა), რომელიც ავალდებულებს საბერძნეთის მთელ პოლიციას, დაიცვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და შეუფერხებლად დაუმკას ადვოკატი ყველა დაკავებულთან (მიუხედავად იმისა, სისხლის სამართალდარღვევისთვის არიან დაკავებულნი თუ ადმინისტრაციული)⁷².

გაერთიანებულ სამეფოში პოლიციისა და სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულების აქტი 1984-ის (*Police and Criminal Evidence Act 1984*)⁷³ თანახმად არსებობს ქვეყნის კოდექსები, მათ შორის კოდექსი C, რომელიც „განსაზღვრავს მოთხოვნებს პოლიციაში პოლიციელების მიერ იმ ეჭვმიტანილების დაკავების, მოპყრობის და დაკითხვის შესახებ, რომლებიც არ არიან ტერორიზმთან დაკავშირებულები“⁷⁴. კოდექსში წერია, რომ „ადვოკატთან პირადი კონსულტაციის და თავისუფალი დამოუკიდებელი იურიდიული რჩევის მიღების უფლება“ ხელმისაწვდომია „პატიმრობის პერიოდის ნებისმიერ ეტაპზე“⁷⁵. კოდექსის შენიშვნა 1A ადგენს, რომ ადამიანებს, რომლებიც ნებაყოფლობით მიდიან პოლიციაში (მაგალითად, მოწმეები), ასევე უნდა ეძლეოდეთ სრული უფლება, მიიღონ იურიდიული კონსულტაცია⁷⁶. თუმცა პოლიციისა და სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულების აქტი 1984-ის s67(10)-ის თანახმად⁷⁷, ამ კოდექსების დარღვევა არ იწვევს რაიმე ვალდებულებას – არც სამოქალაქოს და არც სისხლის სამართლისას.

ალბანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 255(1)-ე და 256-ე მუხლების თანახმად:

„კრიმინალური პოლიციის ოფიცრებმა და აგენტებმა, რომლებმაც დააპატიმრეს ან დააკავეს ადამიანი ანდა დაკავებული ჰყავთ იგი გადაწვევტილების გამოტანამდე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ამის შესახებ იმ ადგილის პროკურორს, სადაც მოხდა დაკავება ან დაპატიმრება. მათ უნდა განუმარტონ დაკავებულს ან დაპატიმრებულს, რომ ის არ არის ვალდებული, განაცხადოს რაიმე და რომ მას აქვს უფლება, აირჩიოს დამცველი ადვოკატი და ამის შესახებ ასევე დაუყოვნებლივ აცნობოს შერჩეულ ადვოკატს ან პროკურორის მიერ დანიშნულ უწყებრივ ადვოკატს.

პროკურორი დაპატიმრებულს ან დაკავებულს დაკითხავს შერჩეული ან უწყებრივი ადვოკატის თანდასწრებით. მან უნდა აცნობოს დაპატიმრებულს ან დაკავებულს იმ ფაქტის შესახებ, რის გამოც მიმდინარეობს სამართალწარმოება, და დაკითხვის მიზეზების შესახებ, ასევე, ინფორმაცია, რაში ედება ბრალი და, თუ ეს ხელს არ უშლის გამოძიებას, წყაროების შესახებ“⁷⁸.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შემდეგ გარანტიას მოიცავს:

⁷⁰ თუ კოდექსის თარგმანი ადვილად ვერ მოიპოვეთ, იხილეთ პოლიციის უფროსის, ფოტიოს ნასიაკოსის, კომუნიკე (4/7/03) საბერძნეთის პოლიციის მიერ დაკავებული ადამიანების უფლებებისა და მათდამი მოპყრობის შესახებ, შემდეგ ვებმისამართზე: <http://www.unhcr.org/refworld/pdfid/426fa1f14.pdf>, at § 3(f).

⁷¹ იქვე §3(ე)

⁷² იქვე

⁷³ ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: http://www.opsi.gov.uk/acts/acts1984/pdf/ukpga_19840060_en.pdf

⁷⁴ <http://police.homeoffice.gov.uk/operational-policing/powers-pace-codes/pace-code-intro/>

⁷⁵ იქვე გვ.9

⁷⁶ იქვე გვ.5

⁷⁷ იქვე, №73

⁷⁸ იხილეთ

<http://www.legislationline.org/download/action/download/id/1654/file/3e7ef0be7ad60ee6e16cbd8b63db.htm/preview> (ინგლისური თარგმანი)

„ექვემოტანილს აქვს უფლება მიიღოს იურიდიული დახმარება საკუთარი თავის დაცვისთვის იმ მომენტიდან, რომელიც განსაზღვრულია 49-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მე-2 და მე-3 პუნქტებით, და ჰქონდეს მასთან პირადი და კონფიდენციაური შეხვედრა მის პირველ დაკითხვამდე...“⁷⁹.

ევროპის ბევრი სისხლის სამართლის კოდექსი და კონსტიტუცია მოიცავს მსგავს გარანტიებს⁸⁰.

ამერიკა

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-6 და მე-14 შესწორებები⁸¹ მიღებული იქნა იმისათვის, რომ უზრუნველყო იურიდიული კონსულტაციის უფლება ადამიანის წინააღმდეგ სამართალწარმოების დაწყებისთანავე ან მას შემდეგ. უზენაესმა სასამართლომ განმარტა ეს შესწორებები ისე, რომ ისინი მოიცავს ორდერით დაპატიმრებას და დაკითხვას⁸².

კანადის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტილაში განსაზღვრულია იურიდიული კონსულტაციის „დაუყოვნებლივ“ მიღების უფლება⁸³. კანადის უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა, ხომ არ ჰქონდა ამას სხვა მნიშვნელობა ბრალის წაყენების გარეშე დაკავების შემთხვევაში 2009 წლის საქმეში *სუბურუ დელოფლის წინააღმდეგ*⁸⁴ და დაასკვნა, რომ ეს უფლება წარმოიშობა იმ წუთიდანვე, როდესაც ხდება პიროვნების დაკავება, მხოლოდ იმ შემთხვევების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება პიროვნულ უსაფრთხოებას ან განსაზღვრულია კანონით და შეესაბამება ქარტილის მიზანს⁸⁵.

მექსიკის 1917 წლის კონსტიტუცია, თავისი შესწორებებით, განსაზღვრავს, რომ ადამიანს აქვს უფლება, სათანადოდ დაიცავს თავი იურიდიული კონსულტაციის მიღებით და შეუძლია, შეარჩიოს ასეთი ადვოკატი ნებისმიერი დროს დაკავების/დაპატიმრების შემდეგ⁸⁶. ამ დახმარების შემდგომში მიღების რეალური უფლება ასევე განსაზღვრულია იმავე პარაგრაფში, სადაც წერია, რომ ადვოკატი ხელმისაწვდომია „პროცესის/სამართალწარმოების ყველა

⁷⁹ იხილეთ

<http://www.legislationline.org/download/action/download/id/1698/file/3a4a5e98a67c25d4fe5eb5170513.htm/previe>

w – იხილეთ, ასევე, მუხლები 49(3)(3) და 92(4).

⁸⁰ ამ კანონების არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებმისამართზე: <http://www.legislationline.org/documents/section/criminalcodes>. სხვა კოდექსებს შორის, რომლებიც მსგავს გარანტიებს ითვალისწინებს, არის: აზერბაიჯანის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 85.2.3), სერბეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლები 47(1) და 201(5)); ბულგარეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 97), ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 45), ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 3); მოლდოვას რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 17), მონტენეგროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლები 5 და 13), ნორვეგიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლები 96-8 და 107), შვეიცარიის ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 35 – NB: ეს იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლებას ანიჭებს მხოლოდ დაკავებიდან საქმის პირველი მოსმენის შემდეგ, რომელიც უნდა ჩატარდეს დაკავებიდან 24 საათში); უზბეკეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 49, შესწორებული). გაითვალისწინეთ, რომ ეს სია არ არის ამომწურავი – იგი მოიცავს მხოლოდ იმ კოდექსებს, რომელთა სათანადო თარგმანების მოძიება შეძლო ავტორმა.

⁸¹ ანუ იურიდიული დახმარების გარანტიები კრიმინალური ბრალდებისგან დაცვისთვის და თავისუფლების შეზღუდვის სათანადო პროცესისთვის იხილეთ ვებგვერდზე:

<http://www.archives.gov/exhibits/charters/constitution.html>.

⁸² იხ. საქმე „ბრუერი ვილიამსის წინააღმდეგ“ 430 US 387 (1977), არაოფიციალურად ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: http://www.law.cornell.edu/supct/html/historics/USSC_CR_0430_0387_ZO.html გვ. 398-9.

⁸³ ნაწილი 10(ბ) – იხილეთ: <http://laws.justice.gc.ca/en/charter/> სექციაში „იურიდიული უფლებები“.

⁸⁴ არაოფიციალური სრული ტექსტი ხელმისაწვდომია:

<http://scc.lexum.umontreal.ca/en/2009/2009scc33/2009scc33.html> (ოფიციალური მოკლე მიმოხილვა

ხელმისაწვდომია: <http://www.scc-csc.gc.ca/case-dossier/cms-sgd/sum-someng.aspx?cas=31912>)

⁸⁵ იქვე – კერძოდ, იხილეთ უმრავლესობის განაჩენის პუნქტი 2.

⁸⁶ არაოფიციალური თარგმანი – ორიგინალი არის *Tendrá derecho a una defensa adecuada por abogado, al cual elegirá libremente incluso desde el momento de su detención* – მუხლი 20(ბ), §66 – იხილეთ:

<http://www.diputados.gob.mx/LeyesBiblio/pdf/1.pdf>.

ეტაზე⁸⁷. როგორც აშშ-ის შემთხვევაში, აქაც გარკვეული წინააღმდეგობაა იმასთან დაკავშირებით, ნიშნავს თუ არა ეს თავისუფლების შეზღუდვის მომენტს თუ დროის რაღაც სხვა მონაკვეთს ამის შემდეგ⁸⁸.

ოკეანია

ახალი ზელანდიის უფლებების კანონი 1990 განსაზღვრავს:

„ყველას, ვინც დაპატიმრებული ან დაკავებულია რაიმე კანონის შესაბამისად... აქვს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს კონსულტაცია ადვოკატისგან და გააცნოს მას საქმის ვითარება და ინფორმირებული იყოს ამ უფლების შესახებ...“⁸⁹.

ამის მსგავსად, კუკის კუნძულების კონსტიტუციის მუხლი 65(გ)(ii) ადგენს:

„არც ერთი კანონი არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ან გამოყენებული ისე, რომ ჩამოერთვას დაპატიმრებულ ან დაკავებულ ადამიანს უფლება, როცა ეს შესაძლებელია, დაუყოვნებლივ მოიწვიოს ადვოკატი და გააცნოს მას საქმის ვითარება“⁹⁰.

აფრიკა

მადაგასკარში, 2008 წლის წამების წინააღმდეგ კანონის მე-4 მუხლი⁹¹ ითვალისწინებს რამდენიმე ფუნდამენტური გარანტიის გამოყენებას „თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდანვე“⁹², მათ შორის, უფლებას „იმ ადვოკატისგან ან იმ პიროვნებისგან დახმარების მიღების უფლებას, რომელსაც [დაკავებული] შეარჩევს“.

სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 35(2)(ბ) მუხლი განსაზღვრავს, რომ „ყველა დაკავებულს, მათ შორის სასჯელმისჯილ პატიმარს, აქვს უფლება... აირჩიოს და კონსულტაცია მიიღოს პრაქტიკოსი იურისტიისგან და დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული მისი ასეთი უფლების შესახებ“⁹³.

მსგავსად ამისა, განის რესპუბლიკის კონსტიტუციის 14(2) მუხლი ადგენს:

„დაპატიმრებულ, თავისუფლება შეზღუდულ ან დაკავებულ ადამიანს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმ ენაზე, რომელიც ესმის, მისი დაპატიმრების, თავისუფლების შეზღუდვის ან დაკავების მიზეზის და მისი უფლების შესახებ, ჰყავდეს ის ადვოკატი, რომელსაც მოისურვებს“.

სხვა ქვეყნები

ეროვნული კანონმდებლობის მრავალი სხვა მაგალითი არსებობს, რომლებიც მსგავს გარანტიებს ითვალისწინებს. მათი ფართოდ განხილვა სცდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს. თუმცა, ზემოთ მოტანილი მაგალითები ვრცლად ადასტურებს იმას, რომ თავისუფლების შეზღუდვის დროს ადვოკატის გამოყენების უფლება ფართოდ არის აღიარებული იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ზოგი ქვეყანა სხვაგვარად განსაზღვრავს მას.

⁸⁷ არაოფიციალური თარგმანი – ორიგინალი არის: „...en todos los actos del proceso“.

⁸⁸ იხილეთ სპეციალური ანგარიში სახელწოდებით *სავარაუდო დანაშაული: კრიმინალური სამართალი და ადამიანის უფლებები მექსიკაში* - 24 Fordham Intl LJ (2000-01) 801 გვ. 843

⁸⁹ მუხლი s23(1)(ბ) – იხილეთ: <http://www.legislation.govt.nz/act/public/1990/0109/latest/DLM224792.html>

⁹⁰ კონსტიტუციის ტექსტი ხელმისაწვდომია: http://www.pacii.org/ck/legis/num_act/cotci327. დაკითხვამდე ამ უფლების გამოყენებლობის შედეგად, სასამართლომ დაადგინა მოთხოვნებთან შეუსაბამობა საქმეში „პოლიცია ნგამეტუა ტუტაკაის წინააღმდეგ“ [2001] კუკის კუნძულები.

⁹¹ ფორმალურად Loi #2008-008 of 25 June 2008 contre la torture et autres peines out traitements cruels, inhumains ou dégradants – ხელმისაწვდომია: <http://www.apr.ch/tld/Madagascar.pdf>.

⁹² ორიგინალი: „...dès l'instant où intervient la privation de liberté d'une personne...“.

⁹³ <http://www.info.gov.za/documents/constitution/1996/a108-96.pdf>

რეკომენდებული მიდგომა

ზემონსენებული ეროვნული კანონმდებლობების უმეტესობის მნიშვნელოვანი პრობლემა ის არის, რომ ისინი ადვოკატის გამოყენების უფლებას უკავშირებენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, რაც ეჭვმიტანილებს უზღუდავს ამ უფლების გამოყენებას. იმისათვის, რომ სრულყოფილად მოხდეს წამების, ცუდად მოპყრობისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევებისაგან დაცვა, ადვოკატი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც რეალურად აქვს თავისუფლება შეზღუდული, მათ შორის იმათ, ვინც რაიმე სახის ადმინისტრაციული დანაშაულისათვის პატიმრობაში იმყოფება⁹⁴, მოწმეებს და ხელისუფლებისათვის „საინტერესო სხვა პირებს“. ამისათვის, საუკეთესო მიდგომა არის ასეთი გარანტიის განსაზღვრა საყოველთაოდ გამოყენებულ კანონში უფლებების დაცვის შესახებ.

ძრ. დაკავშირებული უფლებები

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლისა და წამების წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის მე-2 და მე-16 მუხლების (და წამებისა და ცუდად მოპყრობის სხვა კარგად დადგენილი აკრძალვებისა⁹⁵) გარდა, ადვოკატის ხელმისაწვდომობის გარანტია დაკავშირებულია თვითნებური დაკავების და დაპატიმრების საერთაშორისო სამართლის აკრძალვებთან, რომლებსაც ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9(1) მუხლი⁹⁶. ამასვე ეხება მე-9(3) და მე-9(4) მუხლები. სასამართლოს წინაშე საქმის წინასწარი განხილვისთვის დაუყოვნებლივ წარდგენის უფლება⁹⁷ და დაკავების კანონიერების დადგენის უფლება (*habeas corpus*) კიდევ სხვა გარანტიებია წამების და სხვა ცუდი მოპყრობისგან დასაცავად. გაერო-ს გენერალურ ასამბლეას თავის რეზოლუციაში 34/178:

„*მიანია*, რომ ამ საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია, შემცირდეს ძალაუფლების მქონე იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც დაკავებული ექვემდებარებიან, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების შემთხვევები...“⁹⁸

მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებები კარგად არის განსაზღვრული საერთაშორისო სამართალში, მათი საყოველთაოდ დაცვა მაინც არ ხდება და ასეთი ვითარება არ

⁹⁴ ამ წინადადების მხარდაჭერის ნახვა შესაძლებელია პრინციპების კრებულში (იხილეთ ზემოთ, n 54. „დაკავებულის“ განსაზღვრა არ შემოიფარგლება მხოლოდ კრიმინალური საქმეებით და რეზოლუციაში 1993/36 თვითნებური დაკავების შესახებ, გაეროს ადამიანის უფლებათა ყოფილმა კომისიამ საგანგებოდ განაცხადა, რომ პრინციპების კრებული ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დაკავებასაც [იხილეთ: <http://www.unhcr.org/refugees/refugees/4a59d64a20ec7117c1256a8400459c75?OpenDocument> at PP6] მინიმალური სტანდარტული წესები (იხილეთ, ზემოთ n 53) ასევე ეხება ადამიანებს, რომლებიც ბრალდების გარეშე არიან დაკავებული ან დაპატიმრებული და წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტის სტანდარტები ეხება ადვოკატის ხელმისაწვდომობასაც იმ არალეგალი მიგრანტებისთვის, რომლებიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის არიან დაკავებული [Rev 2009, გვ. 50 - იხილეთ ზემოთ n 38].

⁹⁵ იხილეთ, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (ხელმისაწვდომია: <http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/D5CC24A7-DC13-4318-B457-5C9014916D7A/0/EnglishAnglais.pdf>), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5 მუხლი (ხელმისაწვდომია: <http://www.africaunion.org/root/au/Documents/Treaties/Text/Banjul%20Charter.pdf>).

⁹⁶ იხილეთ, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლი ან ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-6 მუხლი.

⁹⁷ ზოგად კომენტარში 8 ადამიანის უფლებათა კომისია აცხადებს: „მე-9 მუხლის მე-3 პარაგრაფი მოითხოვს, რომ კრიმინალურ საქმეებში ნებისმიერი დაკავებული ან დაპატიმრებული პირი „დაუყოვნებლივ“ წარედგინოს მოსამართლეს ან სხვა მოხელეს, რომელსაც კანონით ეკისრება სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება. უფრო ზუსტი დროითი ზღვარი წევრი სახელმწიფოების უმრავლესობას დადგენილი აქვს კანონით და კომიტეტს მიაჩნია, რომ დავიანება არ უნდა აჭარბებდეს რამდენიმე დღეს“.

⁹⁸ იხილეთ: <http://www.un.org/documents/ga/res/34/a34res178.pdf>. § 2. „ის საშუალებები“ ეხება *amparo*, *habeas corpus* ან სხვა იურიდიულ საშუალებებს, რომლებსაც იგივე ეფექტი აქვს.

გამოსწორდება, თუ დაკავებულებისთვის არ იქნა ხელმისაწვდომი კომპეტენტური იურიდიული წარმომადგენლობა.

გარდა ამისა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ხდება გარკვეული გადაკვეთა ამ უფლებასა და სისხლის სამართალწარმოებაში შესაბამისი იურიდიული წარმომადგენლობის უფლებას შორის⁹⁹. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომის ფოკუსი ცუდად მოპყრობის თავიდან ასაცილებლად ადვოკატის გამოყენების უფლების გარანტირებაა, ვიდრე საქმის სამართლიანი წარმოების გარანტირება, ნათელია, რომ ადვოკატის დაუსწრებლად დისკრედიტირებადი ჩვენების მიღება დაკითხვის მეშვეობით შეიძლება უსამართლო სასჯელის გამოტანით დასრულდეს¹⁰⁰.

დასკვნა

იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლების უზრუნველყოფა იმ ორგანოების მიერ, რომელთა მოვალეობაც დაკავებაა, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მიერ წამების წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის მე-2 და მე-16 მუხლების (პრევენციის მოვალეობა) სათანადოდ განახორციელებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევების შემცირებისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლო ხელისუფლების კონტროლი ადამსრულებლის მიერ განხორციელებულ დაკავებაზე შეზღუდულია, დამოუკიდებელი ადვოკატების როლი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ამიტომ ძალზე სასურველია, რომ ნებისმიერმა ხელისუფლებამ, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკანონებია ეს უფლება ეროვნულ კანონმდებლობაში, გააკეთოს ეს და გაითვალისწინოს გარანტიის შემდეგი არსებითი ელემენტები:

- ეს უფლება უნდა გამოიყენებოდეს თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვის მომენტიდანვე ან, ნებისმიერ შემთხვევაში, მანამ, სანამ დაკითხვა მოხდება;
- ეს უფლება უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაკავებულია საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, და არა მარტო დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილებს;
- დაკავებულს უნდა შეეძლოს ადვოკატს შეხვედეს შეუფერხებლად და კონფიდენციალურად, და
- შესაბამის კანონში უნდა შევიდეს ნორმა, რომლითაც:
 - დადგენილი იქნება დისციპლინური სასჯელი იმ მოხელეებისათვის, რომლებიც ადვოკატთან შეხვედრის ნებას არ დართავენ, და
 - მიუღებელი იქნება ნებისმიერი ჩვენება, რომელიც მიღებული იქნება ამ გარანტიის დაცვის გარეშე.

დაკითხვაზე ადვოკატის რეალურად დასწრების უზრუნველყოფის ნორმამ (როდესაც ეს შესაძლებელია) უნდა გააძლიეროს დაცვა და შეამციროს დარღვევების რისკი.

ასევე უნდა შესწორდეს ის ეროვნული კანონმდებლობები, რომლებშიც გათვალისწინებულია ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებები, მაგრამ აკლია რომელიმე ზემოაღნიშნული კომპონენტი.

წამების საწინააღმდეგო ასოციაცია - APT

რიუ დე ფერნი №10, საფოსტო ინდექსი: 2267-1211 ქუჩევა 2, შვეიცარია

⁹⁹ იხილეთ, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლი ან ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-7 მუხლი

¹⁰⁰ იხ., მაგალითად, საქმე „სალდუცი თურქეთის წინააღმდეგ“, ზემოთ, 23-ე სქოლიო – კერძოდ, დიდი პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 55.

ტელ.: (+41 22) 919 2170 ფაქსი: (+41 22) 919 2180
ელ. ფოსტა: apt@apt.ch ინტერნეტი: www.apt.ch